ახსნა განმარტება

(სამოქალაქო საქმეზე, მოსარჩელე: ააიპ „მწვანე ალტერნატივა“, მოპასუხეები: კახა კალაძე, ილია ელოშვილი)

ჩვენი აზრით, მოსარჩელის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ბატონი ილია ელოშვილის და ბატონი კახა კალაძის განცხადებები არ არის ცილისმწამებლური, მცდარი ინფორმაციის შემცველი და პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი. აღნიშნული განცხადებები წარმოადგენს მხოლოდ მოსარჩელის მიერ განხორციელებულ შესაბამის ქმედებებზე ადექვატურ პასუხს.

ბატონი ილია ელოშვილის განცხადებასთან („მწვანე ალტერნატივა არასამთავროების რადიკალურ ფრთას განეკუთვნება. ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას , რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.) დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ჩვენი აზრით, აღნიშნული ტექსტი არ შეიცავს ცილისმწამებლურ, მცდარი ინფორმაციის შემცველ და პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ასპექტებს და როგორც უკვე აღვნიშნეთ იგი წარმოადგენს მოსარჩელის მიერ განხორციელებულ შესაბამის ქმედებებზე ადექვატურ პასუხს, კერძოდ მოსარჩელე (მიუხედავად იმისა თუ რა მიზნები და ამოცანები აქვთ დეკლარირებული წესდებაში) მუდამ ეწინააღმდეგება საქართველოში დიდი ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას, რომელთა განხორციელება წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წინაპირობას. წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური განვითარება თუ არ განხორციელდა მასშტაბური და ღირებული ენერგო პროექტები. მოსარჩელე სარჩელშივე აღნიშნავს, რომ იგი ჩართული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტშიც, მეტიც, შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ მოპასუხე აღნიშნული პროექტის განხორციელებასაც ეწინააღმდეგებოდა, ხოლო იმის მტკიცება თუ რა სარგებელი მოაქვს ამ პროექტს ქვეყნისათვის და საზოგადოებისათვის დღეის მდგომარეობით აღარ არის საჭირო. ასევე საყურადღებოა, რომ მოპასუხე არა მარტო დიდ პროექტებს არამედ ყველა ენერგეტიკულ პროექტებს (მათ შორის: „ხუდონი“, „აჭარისწყალის კასკადი“, „ჭოროხის კასკადი“ „დარიალი“, „ყაზბეგი“, „ფარავანი“ და სხვა) ეწინააღმდეგება (ყველაზე ხშირად ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას), რისი დამადასტურებელი შესაბამისი განცხადებები და სატელევიზიო ჩანაწერების წარმოდგენაც შეგვიძლია, თუ მოპასუხე ჩვენს მოსაზრებას უარყოფს. ყოველივე აღნიშნულიდან და მოპასუხის რადიკალური ქმედებებიდან გამომდინარე ჩამოუყალიბდა საზოგადოებას და მათ შორის, ბატონ ილია ელოშვილსაც და ბატონ კახა კალაძესაც მოსაზრება, რომ მოპასუხე უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას (ენერგო პროექტებს) რომელიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. რაც შეეხება იმას, რომ ბატონი ილია ელოშვილი საუბრობს მოპასუხის რადიკალიზმზე, გვსურს აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „რადიკალური“ თავის თავში არ მოიაზრებს რაიმე სახის ცილისმწამებლურ, მცდარი ინფორმაციის შემცველ და პატივის,

ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ შინაარს. ქართული განმარტებითი ლექსიკონის განმარტებით „რადიკალური“ ნიშნავს: გადამწყვეტი, გადამჭრელი, უკიდურესი, ძირფესვიანი. შესაბამისად ამ ნაწილში გაუგებარია თუ რა არის ამ განცხადებით ცილისმწამებლური, მცდარი ინფორმაციის შემცველი და პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი. განცხადების შემდგომ ნაწილში ბატონი ილია ელოშვილი, არათუ რაიმე სახის უარყოფით პოზიციას აფიქსირებს მოსარჩელის მიმართ, არამედ პირიქით, მადლობას უხდის მათ იმის გამო, რომ ისინი ჩართულები იყვნენ (საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მოწვევით) „ხუდონი“-ს პროექტის განხილვაში და მათი და სხვა ექსპერტების შენიშვნებისა და მოსაზრებების დიდი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა ინვესტორთან დადებულ ხელშეკრულებაში.

ბატონი კახა კალაძის განცხადებასთან („მწვანე ალტერნატივის უაზროდ გაკეთებულ განცხადებებზე კომენტარის გაკეთებისგან თავს შევიკავებ, მწვანე ალტერნატივა რადიკალური ჯგუფია, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ისინი ფულს იღებენ იმაში, რომ ქვეყანაში არაფერი გაკეთდეს. დასკვნები თქვენთვითონ გამოიტანეთ, რას წარმოადგენენ“.) დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ჩვენი აზრით აღნიშნული ტექსტი არ შეიცავს ცილისმწამებლურ, მცდარი ინფორმაციის შემცველ და პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ასპექტებს და როგორც უკვე აღვნიშნეთ იგი წარმოადგენს მოსარჩელის მიერ განხორციელებულ შესაბამის ქმედებებზე ადეკვატურ პასუხს, ფაქტის კონსტატაციას. ბატონი კახა კალაძის მიერ მოსარჩელის განცხადებების „უაზრო“-დ წოდება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ერთი მხრივ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს გააჩნია ყველა მიმდინარე ენერგეტიკული პროექტის ტექნიკურ ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზი და მეორე მხრივ, მოპასუხის განცხადებები, რომლებიც დამყარებულია მხოლოდ მათ პირად მოსაზრებებზე და მოკლებულია ყოველგვარ დასაბუთებას. შესაბამისად თუ გავითვალისწინებთ ქართული განმარტებითი ლექსიკონის განმარტებებს სიტყვა „უაზრო“ ნიშნავს: აზრს მოკლებულს, არაფრის მთქმელს. სწორედ ამ მნიშვნელობით არის გამოყენებული ბატონი კახა კალაძის მიერ ხსენებული სიტყვა, მართლაც რომ უაზროდ მოგეჩვენება ნებისმიერი პირის მოსაზრება, რომელსაც არ გააჩნია არავითარი სამართლებრივი და დოკუმენტური საფუძველი უარყოფითი განცხადებების გაკეთებისათვის, მით უმეტეს, რომ მეორეს მხრივ არსებობს მრავალ მილიონიანი კვლევები, სადაც დეტალურად არის განხილული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური, გარემოზე და სოციალური ზემოქმედების და სხვა მრავალი საკითხები. კვლავაც მინდა აღვნიშნო, რომ, ბატონი ილია ელოშვილის განცხადების მსგავსადაც ბატონი კახა კალაძეც საუბრობს იმ ფაქტზე, რომ მოპასუხე ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. საზოგადოდ ცნობილი ფაქტია, რომ შეუძლებელია ეკონომიკის განვითარება ენერგო პროექტების და ენერგო სექტორის განვითარების გარეშე, შესაბამისად ისეთი დიდი პროექტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ხუდონი სხვა ზემოთაღნიშნული პროექტები ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისადმი უარყოფით დამოკიდებულებად. ბატონი კახა კალაძე

ზემოხსენებულ განცხადებაში ასევე საუბრობს იმ ფაქტზე, რომ „მოპასუხე ფულს იღებს იმაში რომ არაფერი გაკეთდეს", აღნიშნული წინადადება ჩვენი მოსაზრებით შეესაბამება სიმართლეს, რადგან მოპასუხე, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის ორიენტირებული მოგებაზე, მაინც საჭიროებს ფინანსურ სახსრებს, შესაბამისად ისინი ლეგიტიმურად ფულს იღებენ, იქნება ეს უცხოური გრანტი, თუ სხვა სახის შემოწირულობები და ხსენებული სახსრებით ახორციელებენ საქმიანობას, მათ შორის ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ ქვეყანაში ენერგო პროექტების განხორციელებას - არაფრის გაკეთებას უწყობენ ხელს. განცხადების ბოლოს კი ბატონი კახა კალაძე საზოგადოებას აძლევს დასკვნების გამოტანის საშუალებას, რაც კიდევ ერთხელ იმაზე მეტყველებს, რომ ზემოხსენებული განცხადება არავითარ შემთხვევაში არ იყო გაკეთებული მოპასუხის დისკრედიტაციის მიზნით ან/და მის მიმართ ცილისმწამებლური, მცდარი ინფორმაციის შემცველი და პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვველი ინფორმაციის გავრცელების მიზნით.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მოსარჩელე თავისი დაუსაბუთებელი განცხადებებით აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მნიშვნელოვან წამოწყებებს და ცდილობს ხელი შეუშალოს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებას, მათ შორის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. მოსარჩელე, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ენერგეტიკის მინისტრს და თანამშრომლებს ინვესტორი კომპანიის ინტერესების ლობირებაში, მოსახლეობის ზეწოლაში და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობებში ხშირად ადანაშაულებს, რაზეც მეტყველებს მასმედიის საშუალებებში მოსარჩელის მიერ გამოქვეყნებული არაერთი სტატია და მათ მიერ გაკეთებული აზრს მოკლებული შეფასებები, მათი მონაწილეობით ჩატარებული ქუჩის საპროტესტო აქციები, რომლის ერთ-ერთი მაგალითია აქცია - "არა ხუდონჰესს და სხვა დიდ ჰესებს". ყოველივე ეს კი მეტყველებს მოპასუხის მიერ წამოწყებულ აშკარა რადიკალურ და უარყოფით კამპანიაზე, რაც სახელმწიფოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტების განხორციელების ხელისშეშლაში გამოიხატება.

აქვე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოსარჩელის რადიკალური და უარყოფითი დამოკიდებულება ენერგეტიკული პროექტების მიმართ ბოლო პერიოდში განსაკუთრებულად გამოიხატება ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროცესების მიმართ და მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასამართლოს განვუმარტოთ აღნიშნული პროექტის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. იმდენად, რამდენადაც არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის შედეგად მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობის გაზრდის რესურსი თითქმის აღარ არსებობს, აგრეთვე ქვეყანას არ გააჩნია საკუთარი ენერგომატარებლები ნავთობისა და გაზის სახით და იმპორტირებულ საწვავზე თბოსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგია და/ან ელექტროენერგიის იმპორტი წარმოადგენს აღნიშნული დეფიციტის შევსების წყაროს. იქიდან გამომდინარე, რომ ენერგომატარებლებზე ზრდად ფასებს სექტორზე მკვეთრად

უარყოფითი გავლენა ექნება და ამასთან გაუარესდება ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის ხარისხი, მიზანშეწონილია საქართველოში არსებული ჰიდროპოტენციალის მაქსიმალური და ეფექტური გამოყენება, კერძოდ, მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც იძლევიან ელექტროენერგიაზე მოთხოვნის არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივი პარამეტრების დაკმაყოფილების საშუალებას, ენერგეტიკულ ბალანსში მონაწილეობენ იმ დეფიციტის (ასიმეტრიის) შესავსებად, რაც გამოწვეულია მოხმარების სეზონურობისა და დღის განმავლობაში პიკურ ენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნით. საქართველოს ენერგეტიკული სისტემის დამოუკიდებლობისა და მოთხოვნილი ელექტროენერგიის შიდა რესურსით დაკმაყოფილების მიზნით ხუდონის პროექტი, რომლის დადგმული სიმძლავრეა 702 მგვტ, 1,5 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერგიის გამომუშავებით და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე" გასაყიდი ელექტროენერგიის ფიქსირებული ფასით- 5.84 აშშ ცენტი 1 კვტ/სთ, ქვეყნაში სიმძლავრის გაზრდის მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც ჩაანაცვლებს ადგილობრივ ბაზარზე ზამთრის პერიოდში იმპორტირებულ ელექტროენერგიას, რის შედეგად საქართველოს ენერგოსექტორი მიიღებს მნიშვნელოვან შეღავათს ელექტროენერგიის ფასის ნაწილშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხუდონი არის პიკური სიმძლავრის სადგური. ელექტროენერგიის ღირებულება კი ყველაზე მაღალია პიკური მოხმარების პერიოდში. ამ სადგურის უპირატესობა კი იმაში გამოიხატება, რომ პიკის მოხსნა ბაზისური სიმძლავრის სადგურებსა და სეზონურ სადგურებს არ შეუძლიათ და ეს თვისება მხოლოდ პიკური რეგულირების სადგურებს აქვთ. თავის მხრივ კი მარეგულირებელი სადგურების მშენებლობისთვის პრაქტიკულად მხოლოდ ორი მდინარეა მისაღები - ენგური და რიონი. ენგურის პოტენციალის ათვისება სწორედ მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გზით ყველაზე მიზანშეწონილი ალტერნატივაა. ხუდონჰესის წყალსაცავის დამუშავების რეჟიმების განხილვის შედეგად ცხადი ხდება, რომ მას დადებითი ეფექტი აქვს ქვედა წელში არსებული ენგურჰესისა და ვარდნილჰესების გამომუშავებაზეც. კერძოდ ამ სადგურების გამომუშავება წლიურად დაახლოებით 300 მილიონი კვტ.სთ-ით იზრდება, რომელთა ფასიც 1,187 და 1,17 თეთრია. ამ ენერგიის ნაწილით ხდება იმპორტის ჩანაცვლება და იმავდროულად საექსპორტო რესურსის გაზრდა. ხუდონის მშენებლობის შემთხვევაში გაძლიერდება მდინარე ენგურის ენერგეტიკული პოტენციალის კონტროლის ბერკეტები. წყლის რეგულირება ხელს შეუწყობს ქვედა წელში განლაგებული სადგურების ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდას. ამასთან, ხუდონჰესის კაშხლის მშენებლობით ათეული წლით გაიზრდება ჯვრის წყალსაცავის სიცოცხლისუნარიანობა. მდინარე ენგურის მიერ ჩამოტანილი ნატანის ნაწილის დალექვა პრაქტიკულად მოხდება ორ დიდ წყალსაცავში. ამასთან, თავად აღნიშნული პროექტი მიმზიდველია ასევე განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობის თვალსაზრისით. ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საინვესტიციო ღირებულება, მშენებლობის დროს გაწეული ფინანსური ხარჯის ჩათვლით შეადგენს 1.2 მილიარდ აშშ დოლარს. ვინაიდან ეს პროექტი ხორციელდება უცხოელი ინვესტორის მიერ, მოზიდული თანხა ჩაითვლება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციად და ამ ინვესტიციების ეფექტი მთლიან

შიდა პროდუქტზე საკმაოდ მნიშვნელოვანია. ხუდონის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ოთხი თვის (ზამთრის თვეები) განმავლობაში ადგილობრივ ბაზარზე ფიქსირებულ ფასად 5.84 აშშ ცენტად უნდა გაიყიდოს, ხოლო დანარჩენი შესაძლოა ექსპორტზეც გავიდეს. ამ პროექტს მიმდინარე ანგარიშზეც მნიშვნელოვანი გავლენა ექნება, რადგანაც პირველივე წელს იგი ანაცვლებს იმპორტს და ზრდის ექსპორტს გარდა ამისა, იგი იძლევა შესაძლებლობას პროექტის ფარგლებში დასაქმდეს ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავისთავად მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს სოციალური ფონის გაუმჯობესებაზე. ჰიდროელექტროსადგურის ამოშავების დღიდანვე მფლობელი კომპანია საკმაო დიდ თანხებს გადაიხდის გადასახადების სახით, როგორც ადგილობრივ ასევე ცენტრალურ ბიუჯეტში.

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საკართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს მცდარ ფაქტებს მოსარჩელის შესახებ, არ შეესაბამება სინამდვილეს და რომ ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. ვინაიდან მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადებები შეესაბამება სინამდვილეს, არ არის მცდარი ფაქტების შემცველი და შესაბამისად ზიანს ვერ მიაყენებს მოსარჩელის საქმიან რეპუტაციას, ამასთანავე მოსარჩელე ვერ ასაბუთებს რომ მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადებები არის ცილისმწამებლური და აგრეთვე ვერ ასაბუთებს თუ რა ზიანი მიადგა მოსარჩელეს, ვაცხადებთ, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული არგუმენტები, რაც საფუძვლად უდევს სასარჩელო მოთხოვნებს არის მცდარი და საფუძველს მოკლებული. ბატონი კახა კალაძის და ბატონი ილია ელოშვილის განცხადებები არ წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის წარმოშობის საფუძველს, რომლისთვისაც მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

უფლებამოსილი წარმომადგენლები

ირაკლი თავართქილაძე _____